ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადისთვის

ნიგერიელ სპორტსმენთა მიზნები

ლაგოსი. ნიგერიელი სპორტსმენები ინტენსიურად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამჟამად 28 საუკეთესო მძლეოსანმა წვრთნის პირველი ეტაპი დაამთავრა ილე-იფეში მოწყობილ სავარჯიშო ბანაკში. მზადების მომდევნო ეტაპი აპრილამდე გაგრძელდება, ხოლო მაისიდან ოლიმპიელთა მომზადებაში ჩაებმებიან უცხოეთში სასწავლებლად მყოფი მძლეოსნები. როგორც ცნობილია, ნიგერიელი მძლეოსნები პირველები იყვნენ დაკარში (სენეგალი) გამართულ აფრიკის ჩემპიონატში.

ნიგერიის კრივის ფედერაციამ დაასახელა ოლიმპიური გუნდის 66 კანდიდატი, რომელთა შორის არიან აფრიკისა და თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონები.

მოსკოვის ოლიმპიადისთვის ემზადებიან სპორტის სხვა სახეობათა ოსტატებიც.

ვარშავა. „მთელი ძალით ვიბრძოლებ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლისთვის და, ვფიქრობ, მაქვს მისი მოპოვების შანსი“. — თქვა ევროპის რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში, პოლონელმა ათლეტმა ვ. კოზაკევიჩმა.

ინტერპრესის სპორტული რედაქციის კორესპონდენტმა ისარგებლა შემთხვევით, რომ კოზაკევიჩი ვარშავაში იმყოფებოდა და თხოვა მას ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

● როგორ ემზადებით ოლიმპიური სტარტებისთვის?

— მზადება დეკემბერში დავიწყე. უპირველესად ყურადღება ძალისმიერ მომზადებასა და სისწრაფის განვითარებაზე გავამახვილე. იანვარში სისწრაფესა და ხტომაში ვივარჯიშებ. შემდგომში სრულვყოფ ხტომის ტექნიკას. წინაოლიმპიურ შეჯიბრებებსაც გამოვიყენებ, როგორც ვარჯიშს. ვფიქრობ, შევასრულო ნახტომთა მაქსიმალური რაოდენობა, რათა

„ოქროს“ უმიზნები

მოსკოვის ოლიმპიადაზე გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდეს.

● ვინ მიგაჩნიათ მთავარ მეტოქედ ოლიმპიადაზე?

— ცნობილია, რომ ოლიმპიადაზე გამარჯვება ყველას უნდა, მაგრამ ჩემპიონობას მხოლოდ ერთი აღწევს. მსოფლიოში ბევრი ძალზე კარგი ჭოკით მხტომელია. ღირსეული მეტოქეები იქნებიან ვიუნტერერ ლორე (გფრ) და პატრიკ აბადი (საფრანგეთი), აგრეთვე, რამდენიმე საბჭოთა სპორტსმენი კონსტანტინე ვოლკოვის მეთაურობით.

● თქვენი აზრით, როგორ წარმართება ბრძოლა ოლიმპიადა-80-ის ოქროს მედლისათვის?

— ფინალში აუცილებელი იქნება მაღალი შედეგის ჩვენება და არა ტაქტიკაზე ფიქრი. ჩემი მხრივ ვეცდები, გარკვეული „ფორა“ მივიღო სხვა მონაწილეებთან შედარებით. თუ მაგალითად, ძლიერი მეტოქე [illegible] 550 სმ-ს, მაშინ [illegible] ვითხოვ [illegible] 560-ს. [illegible] გამოყენებ [illegible] ეშინოდეს [illegible] კარგ სპორტულ ფორმაში ხარ, მაგრამ განსაზღვრულ სიმაღლემდე. თუ თამასა 560-სმ-ზეა გადებული, ვერავინ გაბედავს სიმაღლის გამოტოვებას.

● სად უფრო მოგწონთ ასპარეზობა — სტადიონზე თუ დახურულ დარბაზში?

— შეჯიბრებას ორივეგან აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. დარბაზში ყველაფერი შედარებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჩემთვის ძლიერ „დოპინგს“ წარმოადგენს ტრიბუნების რეაქცია. სტადიონზე უფრო ნელია ტემპი, მაგრამ... მე მიყვარს მზე და სითბო. კარგ ამინდში ასპარეზობას რა შეედრება. (საკ.).

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 16 (6577)

23 1980 წ. იანვარი, ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ციგურაობა

ჩემპიონატი უფავორიტებოდ

„საციგურო სპორტის ტრაგედია“, „სკანდალი ევროპის ჩემპიონატზე“ — ამგვარი სათაურებით იყო აჭრელებული ნორვეგიის გაზეთები ევროპის მოციგურავე ვაჟთა ჩემპიონატის მეორე დღესვე, როცა ცნობილი გახდა, რომ საციგურაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ და შეჯიბრების მთავარ მსაჯთა კოლეგიამ საასპარეზოდ არ დაუშვა საბჭოთა კავშირის ნაკრები.

საქმე ისაა, რომ ნორვეგიის ავიაკომპანიის წყალობით ტრონჰეიმში ჩვენი ქვეყნის ნაკრები დროულად ვერ ჩავიდა, თუმცა გუნდში მომხდარი ზოგიერთი ცვლილების შესახებ ორგანიზატორებს ტელეფონით რამდენიმე დღით ადრე ეცნობა. ამის მიუხედავად ფედერაციამ თითზე დაიხვია ფაქტი, თითქოს დაირღვა ფედერაციის წესდების 220-ე პარაგრაფი (მის თანახმად წინასწარ განაცხადში რაიმე ცვლილების შესახებ ფედერაციას ხუთი დღით ადრე უნდა ეცნობოს).

...ჩემპიონატის წინადღით, მონაწილეთა წოლისყრაზე იყვნენ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი, საბჭოთა ჟურნალისტები, სხვა ქვეყნების პრესის, რადიოსა და ტელეხედვის წარმომადგენლები. საბჭოთა სპორტსმენები წოლისყრის სიაში არ შეიტანეს. არ გაჭრა გდრ-ის, ჰოლანდიის, სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა პროტესტმა — არ გადადგმულიყო დაუკვირვებელი ნაბიჯი, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციასა და მთავარ მსაჯთა კოლეგიაზე არაფერმა გაჭრა. არც იმან, რომ ზუსტად 17 საათზე, როცა ის-ის იყო წოლისყრა დაიწყო, დარბაზში პირდაპირ აეროდრომიდან შეივდნენ საბჭოთა მოციგურავეები. მართალია, წოლისყრის პროცედურა ნახევარი საათით შეწყდა, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონატის მედლების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი — საბჭოთა გუნდი კონტინენტის პირველობის მიღმა აღმოჩნდა.

შესაძლოა, ამგვარი გადაწყვეტილება ხელს აძლევდა მასპინძლებს, რაც თვით ასპარეზობის ორდღიანმა შედეგებმაც დადასტურა. მედლებისთვის მათ დავაში ჩარევა შეძლო მხოლოდ შვედმა ტ. გუსტაფსონმა. მან 500 და 5000 მეტრზე რბენაში III ადგილები დაიკავა, ხოლო 10000 მეტრზე მეორე იყო.

500 მეტრზე უძლიერესი გახლდათ კ. სტენსჰელმეტი —38,76. მას 0,5 წამით ჩამორჩა ი. სტურჰოლტი (ორივე — ნორვეგია). 5000 მეტრზე იმარჯვა ტ. ოკსჰოლმმა (ნორვეგია)—7.07,6. სტურჰოლტი აქაც მეორე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, მან მეორე დღეს გამოიჩინა თავი—1500 მეტრზე თანაგუნდელ სტენსჰელმეტს 0,33 წამით აჯობა —1.57,17. ოკსჰოლმი ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა — 1.59,52, მაგრამ იმარჯვა ყველაზე გრძელ — 10000 მეტრზე რბენაში — 14.43,24.

მრავალჭიდში სამივე ღირსების მედალი ნორვეგიელებს დარჩათ. ჩემპიონი გახდა სტენსჰელმეტი— 166,124 ქულა. ვერცხლი ერგო სტურჰოლტს — 166,971, ბრინჯაო — ოკსჰოლმს — 166,982.

● ფრენბურთი

დაწინაურდნენ ბულგარელები

ბულგარეთის ქალაქებში გრძელდება მოსკოვის ოლიმპიადის შესარჩევი შეჯიბრებები ფრენბურთში. გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. **სოფიაში** მასპინძელ ვაჟთა კოლექტივმა ადვილად მოუგო მექსიკის გუნდს — 3:0. აქვე აშშ-სა და გდრ-ის სპორტსმენთა ორთაბრძოლა ამერიკელებმა მოიგეს — 3:0.

პერნიკში სამხრეთ კორეისა და უნგრეთის კოლექტივების მატჩში კორეელებმა მშრალი ანგარიშით იმარჯვეს. დიდ ინტერესს იწვევდა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრა. იგი რუმინელებმა მოიგეს ანგარიშით — 3:1.

პაზარჯიკში, სადაც ქალები ასპარეზობენ, მასპინძლებმა — ბულგარეთის სპორტსმენებმა მეორე გამარჯვება იზეიმეს, აჯერად უნგრელებთან შეხვედრაში —3:2. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — რუმინეთი — 0:3, ბრაზილია — მექსიკა — 3:0.

გათვალისწინებულია ყველა დეტალი

მადრიდი. ადგილობრივმა გაზეთმა „იამ“, სათაურით „მოსკოვი გვიწვევს ოლიმპიადაზე“, გამოაქვეყნა თავისი სპეციალური კორესპონდენტის კარგად ილუსტრირებული რეპორტაჟი, მიძღვნილი XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისადმი.

„1980 წლის ივლისში, — ნათქვამია წერილში,— მოსკოვში გაიმართება მორიგი ოლიმპიური თამაშები, რომელიც უეჭველად იქნება ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა“.

რეპორტაჟში დაწვრილებითაა ნათქვამი სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე არა მარტო მოსკოვში, არამედ კიევში, მინსკში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ მათი მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული იქნა ყველა დეტალი, რომლებიც უზრუნველყოფს სპორტსმენთა ბრწყინვალე გამოსვლებს და თავისუფალი დროის კარგად გამოყენებას. ესპანელი კორესპონდენტი გააოცა ოლიმპიური მშენებლობის სიდიადემ და იმან, რომ ყველა სპორტული ნაგებობა ვადამდე ადრე დამთავრდა. იგი წერს, რომ ოლიმპიური თამაშების საბჭოთა ორგანიზატორებმა რელიგიურ კულტთა გამართვის ცენტრიც კი გაითვალისწინეს და დაწვრილებით დაასახელეს რელიგიები, რომლებიც ამ ცენტრში იქნება წარმოდგენილი.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში მონაწილეობს 50-ზე მეტი სამინისტრო, სამმართველო და სხვადასხვა ორგანიზაცია. ესპანელმა ჟურნალისტმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მოსკოვის ოლიმპიური სოფელი, რომელშიც აშენებულია 18 16-სართულიანი შენობა, ოლიმპიური თამაშების შემდეგ მოსკოვის საცხოვრებელი კვარტალი იქნება. (საკ.).

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული წრეები მკაცრად გმობენ ვაშინგტონის ადმინისტრაციის მიერ მოსკოვის მომავალი ოლიმპიური თამაშების ირგვლივ ატეხილ აურზაურს. ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ პრეზიდენტ ჯ. კარტერისა და სხვა ოფიციალური პირების მიერ ოლიმპიადის ბოიკოტის კამპანიის განახლების მცდელობის გამო. ზემოაღნიშნული სპორტული წრეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აშშ-ის მთავრობა არღვევს ოლიმპიურ პრინციპებს და პოლიტიკური შანტაჟისთვის იყენებს სპორტს.

ადმინისტრაციის მოქმედებებს არ ეთანხმება აშშ-ის წარმომადგენელი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჯ. რუზველტი.

„მეტისმეტად მაწუხებს ის ფაქტი, — თქვა მან, — რომ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი და ეგრეთ წოდებული ლიდერები ვაშინგტონში ერევიან ოლიმპიურ მოძრაობაში“.

ამერიკელი სპორტსმენები შეშფოთებული არიან იმით, რომ აშშ-ის პოზიციების გამო შესაძლოა წყალში გადაიყაროს შეუპოვარი ვარჯიშის წლები და ნაკრები გუნდების მოსამზადებლად დახარჯული მილიონობით დოლარი. „თუ ამერიკელი სპორტსმენები ვერ მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიადაში, მათთვის ეს იქნება ყველაზე მკაცრი იმედის გაცრუება“, — განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა მოკლე დისტანციებზე რბენაში ჰ. გლანსმა.

სატელევიზიო კომპანია ეი-ბი-სის ხელმძღვანელობამ, რომელმაც ხელი მოაწერა ოლიმპიადის გაშუქების კონტრაქტს; ხაზგასმით განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის პოზიციების მიუხედავად, კომპანია უზრუნველყოფს მოსკოვიდან სპორტული პროგრამების გადაცემას.

ამერიკის შეერთებული შტატების ცდამ, ხელი შეეშალა ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ვერ ჰპოვა ისეთი მხარდაჭერა, როგორსაც ვაშინგტონი ელოდა. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, აშშ-ის მოკავშირეებიდან „მხოლოდ ეგვიპტე გამოეხმაურა მაშინვე პრეზიდენტ კარტერის მოწოდებას“.

ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის თავმჯდომარის დ. ფოლოუზის სიტყვებით, იგი „მთელი 100 პროცენტით“ უჭერს მხარს ლორდ კილანინის პოზიციას. „ჩვენი აზრით, — ხაზი გაუსვა დ. ფოლოუზმა, — სპორტი და პოლიტიკა რაც შეიძლება შორს უნდა იდგნენ ერთმანეთისგან“.

პარიზი. საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური და სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის კ.

უარი ვაშინგტონის ინტრიგებს!

ლონდონი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა კატეგორიულად უარყო ვაშინგტონის ინტრიგები მოსკოვის ოლიმპიადის ჩაშლის თაობაზე.

ლონდონის გაზეთ „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „ლაპარაკიც ზედმეტია ოლიმპიადის რომელიმე სხვა ქვეყანაში გადატანაზე“. ყველა საერთაშორისო სპორტული ფედერაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე შემოძლია ვთქვა, — ხაზი გაუსვა კილანინმა, — რომ ოლიმპიური თამაშების პოლიტიკური მიზნით გამოყენების ცდას ყველგან გმობენ. არ ვიცი, რის მიღწევას ცდილობს პრეზიდენტი კარტერი, მაგრამ ვიდრე მსგავს ნაბიჯს გადადგამდა, კონსულტაციისთვის უნდა მიემართა ამერიკის ოლიმპიური კომიტეტისთვის.

კილანინის აზრით, შეერთებული შტატების მიერ მოსკოვის ოლიმპიადის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ძირს უთხრის ოლიმპიურ მოძრაობას. პრეზიდენტ კარტერის მოწოდებები, ხაზგასმით აღნიშნა მან, „არ შეარყევს საფრანგეთის პოზიციას, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოსკოვის ოლიმპიადაზე“.

სტოკჰოლმი. ჩვენი მთავრობა არ ჩაერევა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში შვეიცის მონაწილეობის საკითხში. ეს მოლიანად სპორტული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედის, — განაცხადა შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. ფელდინმა.

—შვეიცის ოლიმპიურ კომიტეტს, —თქვა მისმა თავმჯდომარემ კარლ-გუსტავ ანდერბერგმა,—დაუშვებლად მიაჩნია სპორტის გამოყენება პოლიტიკური შანტაჟის მიზნით. ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიადაში.



18 იანვარს თბილისში გაიმართა დედაქალაქის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის 42-ე კონფერენცია. თბილისის მოწინავე ახალგაზრდებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები მ. ჩიბურდანიძე და ლ. ცოტაძე.

გთავაზობთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ჰადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა კონფერენციაზე.

გასატეხ ყამირს — კომკავშირული შემართებით

ნება მომეცით თბილისის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მრავალრიცხოვანი არმიის სახელით მოგესალმოთ ჩვენი დედაქალაქის მოწინავე ახალგაზრდობის დიდი ფორუმის მონაწილეებს.

დღეს ამ დარბაზში შეიკრიბნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. ახალგაზრდები უპატაკებენ ჩვენს პარტიას, კომკავშირს იმ სასახელო საქმეების შესახებ, რომლითაც აღნიშნეს X ხუთწლედის გადამწყვეტი წელი სწავლასა და შრომაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

რესპუბლიკის დედაქალაქს ასევე ბევრი სასახელო მაჩვენებელი აქვს ფიზკულტურისა და სპორტის განითარების საქმეში. გაიზარდა თბილისელ სპორტსმენთა ხვედრითი წილი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე, მათი არაერთი რეკორდით, გამარჯვებით, მიღწევით აღინიშნა 1979 წლის სტარტები.

წარმატება ხვდათ წილად ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენებს საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე, სადაც მათ 10 ოქროს, 37 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულების რაოდენობით თბილისის სპორტულმა დელეგაციამ III ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის ქალაქებს შორის, მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ, რისთვისაც სპეციალური თასით დაჯილდოვდა. სასიხარულოა, რომ თბილისელი სპორტსმენები არ ღალატობენ საუკეთესო ტრადიციებს, — ბევრი მათგანი გახდა სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, დიდი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. განსაკუთრებით გვახარებს ლ. ცოტაძის, ს. გუნბას, თ. ხუბულურის, ნ. იოსელიანის, ნ. გურიელის, ს. შალიბაშვილის, მ. სალაძის და სხვათა წარმატებები.

დედაქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ მუშაობის საკმაოდ ეფექტური ფორმები მიმართული მოზარდთა შორის სპორტის სიყვარულის გაღვივებისადმი, და ამ საქმიანობას ისინი წარმართავენ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

იქ, სადაც კომკავშირულ აქტივს კარგად ესმის თავისი ამოცანები სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, შედეგიც არ აყოვნებს, — კოლექტივის სპორტული მიღწევები სასიხარულოა, ახალგაზრდობაა — ჯანსაღი.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სპორტის ძალა მის მასობრიობაშია. და ჩვენი ქალაქის სპორტსმენთა რიგებიც განუწყვეტლივ იზრდება. სასიამოვნოა, რომ ათასობით ახალგაზრდა თბილისელი საყვარელ ადგილად სტადიონს, აუზს, სპორტულ ბაზას მიიჩნევს, თავისუფალ დროს ტურისტულ ლაშქრობებში ატარებს.

უთუოდ ფიზკულტურული, სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივმა მუშაობამაც განაპირობა ის დიდი წარმატებანი, რომელსაც მიაღწიეს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ინდუსტრიული, მანქანათმშენებლობისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმების, ქარხანა მაგნიტოფონის, სატელეგრაფო აპარატების, თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, რიგმა სხვა კოლექტივებმა.

ჩვენ, სპორტსმენები, კარგად ვგრძნობთ რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების სისტემატურ ყურადღებას და დაინტერესებას, ზრუნვას სპორტის განვითარებაზე, დიდ ცდასა და რუდუნებას ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ მიმართებით ბევრი რამ კეთდება და სათანადოდაც აღინიშნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ასეთი ინტერესი სპორტისადმი, ფიზიკური კულტურისადმი ბუნებრივი და გასაგებია — ფიზიკური კულტურა ხომ მხოლოდ ადამიანის სხეულს არ ავითარებს, იგი მის ხასიათსაც ქმნის, — აფართოებს და ამრავლებს ახალგაზრდობის შესაძლებლობებს, ამტკიცებს სულიერ სიმდიდრესა და მორალური სიწმინდის საფუძვლებს.

ამიტომაც მოვალენი ვართ, პირუთვნელად აღვნიშნოთ ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები, მით უმეტეს, რომ ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული ის დიდი შესაძლებლობები, მართლაც ამოუწურავი რეზერვები, რომლებიც ქალაქის ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააჩნიათ, ჯერ კიდევ არ ხორციელდება სრული ეფექტითა და დიდი უკუგებით სპორტის მთავარი ამოცანა — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა ქალაქის ახალგაზრდობის ყველა კატეგორიას შორის.

მთელ რიგ ორგანიზაციებში, წარმოება-დანესებულებებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელ მუშაობას, განსაკუთრებით გოგონათა ჩაბმას სპორტულ სექციებში და ჯგუფებში; ჯერ კიდევ მოუმზადებლად და უინტერესოდ ტარდება სპორტული შეჯიბრებები, სპარტაკიადები, მასობრივი ღონისძიებები.

კიდევ უფრო მეტი მუშაობაა ჩასატარებელი ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონისა და მტკიცე ნებისყოფის ამაღლების საქმეში, და აქ ჩვენ, კომკავშირულ აქტივისტებს, განსაკუთრებული მონდომება და მუშაობის გააქტიურება, გამოცოცხლება გვმართებს. მით უმეტეს, ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები სპორტსმენთა მიერ დისციპლინის დარღვევისა, რასაც ერთგვარი დისონანსი შეაქვს ჩვენი სპორტის წინსვლაში, ჩვენი სპორტსმენების სასახელო საქმეებში.

სპორტის მთელ რიგ სახეობებში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მძლეოსნობაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ცურვაში, სროლაში, ცხენოსნობაში. ეს და სხვა ნაკლოვანებები უარყოფითად მოქმედებენ ქართველ სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომ ამაღლებაზე, რაც დადასტურდა კიდეც საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე და, ვფიქრობთ, აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება სნორედ დედაქალაქის სპორტულ ორგანიზაციებს მართებთ.

ხშირად სპორტულ ნარუმატებლობას ასაბუთებენ სათანადო ბაზების უქონლობით, მათი უხარისხობით. ნანილობრივ ეს მიზეზები მისაღებია. დედაქალაქის მთელ რიგ საშუალო სკოლებში, წარმოება-დანესებულებებში არა გვაქვს მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები, საცურაო აუზები, სხვა სპორტული ბაზები. ცხადია, სპორტული მოედნებისა და ბაზების რაოდენობისა და ქსელის განმტკიცება-გაფართოება ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია დედაქალაქში სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგრამ საკითხავია ისიც, და ალბათ — უფრო მნვავედაც: როგორ ექსპლოატაციადატვირთვას უნვევენ ჩვენი ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები არსებულ ბაზებს, როგორ იბრძვიან ისინი არსებული სპორტული კომპლექსების, მოედნების მოვლა-რეკონსტრუქციისათვის, მათი მაქსიმალური უკუგებით ამოქმედებისათვის? არის შემთხვევები, როდესაც არსებული სპორტული მოედნები ნლების განმავლობაში მოუვლელი და გაპარტახებულია, ან კიდევ არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

ცხადია, არასწორი იქნებოდა არსებული მდგომარეობა მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით აგვეხსნა, მაგრამ ისიც ფაქტია, მათ რომ მეტი მონდომება და ბრძოლისუნარიანობა გამოეჩინათ არსებული ბაზების მოვლა-პატრონობისა და ახლის მშენებლობისადმი შეფობა თავიანთ ღვიძლ საქმედ გაეხადათ, ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმა და სპორტული მიღწევებიც უკეთესი იქნებოდა. სწორედ ამიტომ დღევანდელ თავყრილობას უნდა გადავცეთ თბილისელ სპორტსმენთა — ოლიმპიელთა თხოვნა,— 1980 წელი გამოცხადდეს სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსის ნლად, რომ 1980 ნელს — მოსკოვის ოლიმპიადის ნელს — თბილისის საცხოვრებელ მასივებს, ეზოებსა და ქუჩებს შეემატოს ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა თუ სხვა მარტივი ტიპის მოედნები — ოლიმპიადა 80-ის სახელობისა. კარგი იქნება, თუ ამ თაოსნობას ყველა ჩვენგანი, კომკავშირული აქტივისტები განსაკუთრებული გულისხმიერებით დაუჭერთ მხარს. ეს იქნება ყველაზე ძვირფასი საოლიმპიადო საჩუქარი თბილისელი ახალგაზრდობისაგან!

ჩვენი დედაქალაქის საშუალო სკოლებში ტრადიციად იქცა სხვადასხვა სპეციალისტის მივლინება წარმოება-დანესებულებებიდან, სამხედრო ნანილებიდან. ეს ენთუზიასტი-ხელმძღვანელები მართლაც დიდი შრომის შედეგად კარგ მაჩვენებლებს აღნევენ მოსნავლე-ახალგაზრდობაში შრომისადმი სიყვარულის აღზრდის, სამხედრო-პატრიოტული წრთობის თვალსაზრისით. რატომ არ შეიძლება ასეთი „კომკავშირული საგზურებით“ სკოლაში ჩვენი ცნობილი, სახელოვანი სპორტსმენების მივლინებაც? მათ ხომ სიამოვნებით გაპყვებიან ბავშვები!

დასამალი არ არის, — ფიზკულტურის გაკვეთილი ბევრ სკოლაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, უინტერესოდ ტარდება. ზოგიერთი სკოლა მოსნავლეებს ვერ აძლევს საკმარის სპორტულ ჩვევებს, ვერ უზრუნველყოფს მათს აუცილებელ ფიზიკურ განვითარებას. განაცოტაა ისეთი ბავშვი, რომელმაც სკოლაში ვერ ისნავლა ცურვა, ვერ დაეუფლა მძლეოსნობასა და სპორტულ თამაშობათა ჩვევებს, ვერ განიმტკიცა ჯანმრთელობა? რომ იტყვიან — აქაც, მუშაობის ამ უბანზეც არის ჩვენთვის ჯერ კიდევ გასატეხი ყამირი და მოდით, ჩვენი დღევანდელი კონფერენცია ვაქციოთ ამ მიმართებით ამ პრობლემებისადმი ჩვენი ძლიერი, კომკავშირული შეტევის დასაწყისად.

ნლევანდელი წელი მეტად საპასუხისმგებლოა მათთვის, ვინც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატია. ოლიმპიადისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დასამალი არაა — მოსკოვის ოლიმპიური თამაშები საბჭოთა სპორტსმენებისათვის ყველა წინამორბედ თამაშებზე ძნელი იქნება, ძნელიც და განსაკუთრებულიც — ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მოასპარეზე ქართველი საბჭოთა სპორტსმენისაგან ხომ განსაკუთრებულ შედეგებს ველით, და მოდით, ჩვენი კომკავშირული გულითადობით დავუულოცოთ მათ გზა ასეთი ნარმატებებისაკენ!

დასასრულ, ნება მიბოძეთ დედაქალაქის სპორტსმენთა სახელით დავარწმუნო სკქართველოს კომუნისტური პარტია, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, მთელი რესპუბლიკის ახალგაზრდობა იმაში, რომ ჩვენც ისევე, როგორც ჩვენი სახელოვანი წინამორბედები, არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას საბჭოთა საქართველოს სპორტული სახელისა და ღირსებისათვის!

იზარდე, მწვანე ჯეჯილო!





პირველი ნაბიჯები

ფიზიკური კულტურა და სპორტი დღეს უკვე მუდმივი თანამგზავრი გახდა ჩვენი მოზარდი თაობისათვის. ცხადია, ჩემპიონობა და რეკორდსმენობა ყველას არ ძალუძს, მაგრამ იყო ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი— ეს აუცილებელია...

თბილისის 46-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მადონა კობაიძე) ყოველი დილა, როგორც წესი, გამამხნევებელი 10-წუთიანი ვარჯიშით იწყება. ბავშვები მონდომებით ასრულებენ ფიზკულტურის უფროსი მასწავლებლის ზინა ჩხეიძის მითითებებს. იგი აქ სკოლის დაარსებიდან (1947 წლიდან) მუშაობს. ახალგაზრდობაში ტანვარჯიშით იყო გატაცებული, უყვარდა ფარიკაობაც...

სკოლაში ჩვენი სტუმრობისას ფიზკულტურაში მეცადინეობა მოსამზადებელი კლასის (პედაგოგი ცისანა ბილისეიშვილი) მოსწავლეებთან ტარდებოდა. საინტერესოდ შერჩეულ რთულ ვარჯიშებს მოჰყვა სხვადასხვა ხალისიანი სპორტული თამაშები, რომლებიც ნორჩებს სისწრაფეს, სიზუსტეს, მოქნილობასა და კოორდინაციას უვითარებენ.

— მიხარია, როდესაც მოსწავლეები ფიზკულტურის გაკვეთილების გარდა სპორტულ სექციებშიც დადიან, — ამბობს მასწავლებელი, — სამწუხაროდ, ყველა მოსწავლემ და მშობელმა როდი შეიგნო ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთე.

მასწავლებელი ბავშვებს ხშირად ესაუბრება ოლიმპიადებზე, კერძოდ მოსკოვის XXII თამაშებზე. მოზარდებიც ინტერესით ადევნებენ თვალყურს სპორტულ ცხოვრებას, მუდამ ახალი ამბების კურსში არიან, იცნობენ გამოჩენილ სპორტსმენთა მიღწევებს, მათ სპორტულ ბიოგრაფიას. ყოველივე ამას ხელს უწყობს სკოლის სპორტულ დარბაზში მოწყობილი კუთხეც, სადაც მოთავსებულია ფოტოსტენდი, კედლის გაზეთი „ნორჩი ფიზკულტურელი“, პლაკატები, ვიმპელები და სხვ.

სკოლაში სიამაყით გვითხრეს, რომ ახლახან ჩატარებულ საქალაქო კონფერენციაზე მათგან პირველად გაიგზავნა სპორტული ხასიათის თემა. ეს არის X კლასის მოსწავლის მაია ბერიძის „ალპინიზმის განვითარება საქართველოში“. პირველ მერცხალს სხვაც მოჰყვა: IX კლასის მოსწავლემ ელიზა გიორგაძემ მოამზადა საინტერესო თემა „ფეხბურთის განვითარება საქართველოში“, მერვეკლასელებმა ალა ასლამაზიშვილმა და ანა კალმახელიძემ შესაბამისად — „ჩვენი გამოჩენილი მოჭადრაკეები“ და „ფრენბურთი საქართველოში“. ამ თემებმა მოწონება და ქების სიგელები დაიმსახურეს.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს თუ რარიგ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი თბილისის 46-ე სკოლაში.

როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ დავაკვირდებით სკოლის სპორტულ დარბაზს, დავინახავთ, რომ იქ არსებული სპორტული ინვენტარი — დვირი, ორძელი, რგოლები, სკამები — უკვე საკმაოდ მოძველებულია. ბევრჯერ გადაწყვიტა სკოლის ხელმძღვანელობამ მათი შეცვლა, მაგრამ... ვფიქრობთ, რომ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სათანადო განყოფილება სკოლას დაეხმარება ამ საკითხის მოგვარებაში.

მ. ბრეგვაძე.

• • •

სურათებზე: მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეები მზად არიან ფიზკულტურის გაკვეთილისათვის; მასწავლებელი ზ. ჩხეიძე ავარჯიშებს ნორჩებს; ვინ უფრო სწრაფია?..

ა. მარუტოვის ფოტოები.

ვიბრძოლოთ „სამართლიანი თამაშისთვის!“

ცნობილი ამბავია, რომ საფეხბურთო მინდვრებზე ბოლო ხანებში მეტისმეტად მოძალებული უხეშობისა და წესრიგის დარღვევებთან დაკავშირებით მსაჯებს კატეგორიული მითითება მიეცათ მაქსიმალური სიმკაცრით ებრძოლონ უდისციპლინობას და მხედველობიდან არ გამორჩეთ დაწესებული ნორმების დარღვევის არც ერთი შემთხვევა. საგანგებო აქციები გაატარეს ამ მიმართებით თავიანთ შეჯიბრებებში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა. ყველა ქვეყნის ეროვნული ფედერაცია ცდილობს მოთოკოს წრესგადასული ვნებათაღელვანი ფეხბურთელთა შორის, კონკრეტულ სანქციებს მიმართავენ მაყურებელთა უდისციპლინო გამოხდომების მიმართ, ფულად ჯარიმებს ადებენ კლუბებს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი, როცა რომელიმე კლუბის სტადიონზე არანორმალური პირობები იქმნება, ნეიტრალურ მინდორზე გადააქვთ ოფიციალური თამაშები.

სასჯელები საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ არის უწესრიგობასთან ბრძოლის სხვა, სტიმულის მიმცემი საშუალებებიც. უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს „ფაერ-პლეის“ პრიზი ყველაზე კორექტული გუნდებისათვის, ჩვენში, უმაღლეს ლიგაში, დაწესებულია ორი ჯილდო — „გუნდთან ერთად“ და „სამართლიანი თამაშისთვის“, რომელთა მოპოვება დიდ ღირსებას მატებს ყოველი ქალაქის სპორტულ ბაზას, ყოველ კლუბს, მის გულშემატკივრებს.

პირველი პრიზი — „გუნდთან ერთად“, დაწესებული რსფსრ-ს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ფეხბურთის ფედერაციის მიერ, თბილისის „დინამომ“ მოიპოვა 1978 წელს, მეორე პრიზის ხელში ჩაგდება კი ვერა და ვერ შეეძლით.

საინტერესოა ამ პრიზის ისტორია. თავდაპირველად იგი დაწესებული იყო „სოვეტსკი სპორტის“ მიერ უმაღლესი ლიგის იმ გუნდისთვის, რომლის მოთამაშეებსაც ყველაზე ნაკლები დარღვევა ექნებოდათ სეზონის მანძილზე სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის მატჩებში. 1958 წელს ჯილდოს ფლობდა დონეცკის „შახტიორი“, 1959 წელს — კიევის „დინამო“, შემდეგ — ერევნის „სპარტაკი“, მინსკის „ბელარუსი“. 1962 წელს „სამართლიანი თამაშის“ საპატიო პრიზი შინ ჩამოიტანეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებსაც საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ დისციპლინის მხრივ.

შემდგომ წლებში ჯილდოს მფლობელები იყვნენ მოსკოვის „დინამო“, იაროსლავლის „შინიკი“, ცსკა, ოდესის „ჩერნომორეცი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“.

1974 წლიდან „სამართლიანი თამაშის“ საპატიო ჯილდოს მიკუთვნების კომპეტენცია თავის თავზე აიღო ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ რედაქციამ. პრიზი ამ პერიოდში დაისაკუთრეს ოდესის „ჩერნომორეცმა“, როსტოვის არმიელებმა, ვოროშილოვგრადის „ზარიამ“, კვლავ „ჩერნომორეცმა“, კიევის „დინამომ“ და შარშან — ისევ „ზარიამ“.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამო“ ამ სიაში არ ჩანს. არ ჩანს კი არა, წლიდან წლამდე ახლოსაც ვერ ეკარება გამარჯვების პრეტენდენტებს. დასანანი კია, ვინაიდან ჩვენი ფეხბურთელები თაობიდან თაობამდე იმით არიან განთქმული, რომ მუდამ გამოირჩევიან მაღალტექნიკური, ელეგანტური თამაშით, თავაზიანობით. უხეშობა და ტლანქი ილეთები არასოდეს ყოფილა მათი „ამპლუა“.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ახლახან შეაჯამა და გამოაქვეყნა 1979 წლის საფეხბურთო სეზონის დარღვევათა ცხრილი უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის (სსრ კავშირის ჩემპიონატი და სსრ კავშირის თასი).

დაგროვილი საჯარიმო ქულების რაოდენობით უმაღლესი ლიგის ძირითადი შემადგენლობები ასე გამოიყურებიან:

1. „ზარია“	4 ქულა
2-3. „სპარტაკი“	16 ქულა
„დინამო“ მ.	16 ქულა
4-5. ცსკა	22 ქულა
„ჩერნომორეცი“	22 ქულა
6. „ტორპედო“	23 ქულა
7. ასკ რ.	25 ქულა
8-9. „დინამო“ კ.	26 ქულა
„ფახთაქორი“	26 ქულა
10-12. „შახტიორი“	27 ქულა
„არარატი“	27 ქულა
„ზენიტი“	27 ქულა
13. „კრ. სოვეტოვი“	28 ქულა
14. „დინამო“ თბ.	30 ქულა
15. „ნეფთჩი“	33 ქულა
16. „ლოკომოტივი“	35 ქულა
17-18. „დინამო“ მნ.	43 ქულა
„ქაირათი“	43 ქულა

(საჯარიმო ქულათა დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: ყოველი გაფრთხილება — 2 ქულა, გაძევება — 5).

თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობიდან მსაჯებს მინდვრიდან არ გაუძევებიათ არც ერთი მოთამაშე. ყველა საჯარიმო ქულა დაგროვებულია 15 მოთამაშის გაფრთხილების გამო.

არც თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობის მატჩებში გაუძევებიათ ვინმე მინდვრიდან, მაგრამ დუბლიორებს მიღებული აქვთ 7 გაფრთხილება. სულ ძირითადი და დუბლიორთა შემადგენლობების ჯამში თბილისის „დინამოს“ აქვს 44 საჯარიმო ქულა და VIII-X ადგილებს იყოფს კიევის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ ერთად.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წინაშე დგას საპატიო ამოცანა: გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მოიპოვოს სამართლიანი თამაშისთვის დაწესებული პრიზი. ვფიქრობთ, კოლექტივს ეს ძალუძს და მისმა ყოველმა წევრმა ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

რ. ქორიძე.

ჩემპიონატები, ჯამტრჯები, ციფრები

ინგლისი

XXIV ტურში ლიდერს — „ლივერპულს“ შინ ძალზე გაუჭირდა „საუთჰემპტონთან“ (იგი სატურნირო ცხრილში V ადგილზეა). მასპინძლები დამარცხებისგან იხსნა მაკდერმოტმა—1:1. ქულა დაკარგა ლიდერის მთავარმა მეტოქემ — „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელიც სტუმრად თამაშობდა „მიდლსბროსთან“ — 1:1, ხოლო მესამე ადგილზე მყოფი „არსენალი“ საკუთარ მინდორზე დამარცხდა „ლიდს იუნაიტედთან“ — 0:1.

სხვა მატჩები: „ბოლტონ უონდერერსი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 0:2, „ასტონ ვილა“ — „ევერტონი“ 2:1, „დერბი ქაუნთი“— „კრისტალ პალასი“ 1:2, „მანჩესტერ სიტი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:1, „ნოტინჰემ ფორესტი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 3:1, „სტოკ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:1, „ველვერჰემპტონ უონდერერსი“ — „ბრისტოლ სიტი“ 3:0, „ნორვიჩ სიტი“— „კოვენტრი სიტი“ 1:0.

XXIV ტურის შემდეგ 35 ქულა (და 1 გამოტოვებული მატჩი) აქვს „ლივერპულს“. 33 ქულა მოაგროვა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, 28-28 — „არსენალმა“ და „ნორვიჩ სიტიმ“.

შოტლანდია

ჩემპიონატის „რიტმი“ საგრძნობლად დაირღვა — ზოგმა გუნდმა 22 მატჩი ჩაატარა, ზოგმა— მხოლოდ 18.

მტკიცედ ლიდერობს გლაზგოს „სელტიკი“, რომელსაც 20 თამაშიდან 29 ქულა აქვს. ბოლო მატჩი ლიდერმა სტუმრად ფრედ — 1:1 დაამთავრა ედინბურგის „ჰიბერნიენთან“. 21 თამაშიდან 26 ქულა აქვს „მორტონს“. ახლა მხოლოდ ეს ორი გუნდი იბრძვის ჩემპიონობისთვის. მესამე ადგილზე მყოფმა „გლაზგო რეინჯერსმა“ 22 თამაშიდან 22 ქულა მოაგროვა.

ფეხბურთის ჯვეჯეჯი

კალენდარი ცნობილია

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ 1980 წლის დეკემბრის დასასრულს და 1981 წლის იანვრის დასაწყისს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გაიმართება „ჩემპიონთა ჩემპიონატი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა მსოფლიო ჩემპიონი ინგლისელთა გამოკლებით, რომელთა ნაცვლადაც ტურნირში გამოვლენ ჰოლანდიელი ფეხბურთელები, 1974 და 1978 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ვიცე-ჩემპიონები.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მხარი დაუჭირა ამ დიდი ტურნირის ჩატარების იდეას, რის შემდეგ ორგანიზატორებმა შეადგინეს გათამაშების კალენდარი:

I ჯგუფი. 26 დეკემბერი: ურუგვაი — იტალია, **29 დეკემბერი:** იტალია — არგენტინა, **2 იანვარი:** არგენტინა — ურუგვაი;

II ჯგუფი. 27 დეკემბერი: ბრაზილია — გფრ, **30 დეკემბერი:** გფრ — ჰოლანდია, **3 იანვარი:** ჰოლანდია — ბრაზილია.

ნახევარფინალური მატჩები მოეწყობა **6-7 იანვარს,** ფინალი — **10 იანვარს.**

III შესარჩევ ჯგუფში

სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები მოხვდა ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში. საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად ამ ჯგუფში არიან ჩეხოსლოვაკიისა და თურქეთის გუნდები.

ევროპის ახალგაზრდულ საფეხბურთო ტურნირში სულ 8 შესარჩევი ჯგუფია. მატჩები ჯგუფებში გაიმართება 1980-82 წლებში. გამარჯვებულები ბრძოლას განაგრძობენ მეოთხედფინალში.

მოკლედ

არგენტინის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბუენოს-აირესის „რივერ-პლეიტმა“, რომელმაც 2 ფინალური შეხვედრა პროვინციულ კლუბ „სანტა-ფე“-ს დაუთავრა 0:0 და 1:1, მაგრამ ვინაიდან „რივერ-პლეიტმა“ გოლი მეტოქის მინდორზე გაიტანა, უპირატესობაც მას ხვდა წილად.

გულგარეთის ილუსტრირებულმა ჟურნალმა „სტარტმა“ მოაწყო 1979 წლის საუკეთესო ფეხბურთელის კონკურსი. გამარჯვებულად მიიჩნიეს სოფიის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ათანას მიხაილოვი, რომელიც ჩვენი გულშემატკივრებისთვის ჯარგალია ცნობილი ამასწინანდელი გამოსვლებით უეფა-ს თასზე.

მცირე ხნის კრიზისის შემდეგ კვლავ აამაღლა თამაშის კლასი მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც ტონს აძლევს გფრ-ის ჩემპიონატს. „ბაიერნმა“ ამას წინათ ფინეთიდან შეიძინა ჰიკ-ის (ჰელსინკი) და ფინეთის ნაკრების თავდამსხმელი რასი რანტიაინენი.

ცოტა რამ გამარჯვებულზე და სხვებზე





როცა საქართველოს ჭაბუკ (1962-63 წ. წ.) წყალბურთელთა პირველობის ორი ტური მიიღია, „ლელოს“ ფურცლებზე ვარაუდს გამოთქვამდით, რომ გამარჯვებულის ვინაობას ძირითადად თბილისის „დინამოსა“ და განათლების სამმართველოს წყალბურთელთა დავა გადაწყვიტდა. ამის საფუძველს ის გვაძლევდა, რომ აღნიშნული გუნდები ერთმანეთთან შეხვედრამდე გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებდნენ მეტოქეებს. მოსალოდნელი იყო ისიც, რომ ორი მთავარი კონკურენტის შეხვედრა ფრიად დაძაბულად ჩაივლიდა.

ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა — პირველობის ბედი მართლაც „დინამოსა“ და განათლების სამმართველოს გუნდების შეხვედრამ გადაწყვიტა, მაგრამ დაძაბული, საინტერესო პაექრობა — ვერ ვიხილეთ — განათლების სამმართველოს გუნდმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე. ამაზე მატჩის ანგარიშიც (10:2) ნათლად მეტყველებს.

გამარჯვებულმა კოლექტივმა 5 გუნდთან შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა—10, ამასთან, მას ბურთების შეფარდებაც (49:10) ფრიად შთამბეჭდავი ჰქონდა.

უფრო ახლოს გავიცნოთ გუნდი, რომელიც ბოლო წლებში მუდამ წარმატებით გამოდის ჭაბუკთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ფაქტიურად ეს ის ნაკრებია, რომელიც უკანასკნელ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა. სპარტაკიადის შემდეგ გუნდი დაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ნაკრებს თბილისის უნივერსიტეტის სპორტკლუბმა გაუმართა ხელი და მთლიანი შემადგენლობით აიყვანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუნდს ერთხანს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდა მწვრთნელი ს. მაისურაძე, რომელიც ახლაც უდგას სათავეში კოლექტივს.

შეჯიბრებაში მეორე იყო დინამოელთა გუნდი (მწვრთნელი ბ. მეგედი), რომელმაც 8 ქულა დააგროვა.

— ამ კოლექტივს რესპუბლიკის წყალბურთელთა გუნდებს შორის ვარჯიშის ყველაზე უკეთესი პირობები აქვს, ოღონდ, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა შემდეგ, — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა მთავარი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი მ. ქართველიშვილი. — ამდენად, მათ გაკილებით უფრო მეტი მოეთხოვებათ. სამწუხაროდ, ამ კოლექტივის ჭაბუკთა შორის არაგვგმიური მუშაობა მიმდინარეობს. „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს წყალბურთელთა სპორტსკოლა არ გააჩნია. არადა, კარგა ხანია სპორტსკოლის გახსნის შესახებ სათანადო დადგენილებაც გამოიტანეს. საქართველოს უპირველესი გუნდისთვის — თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა კოლექტივისთვის რეზერვის აღსაზრდელად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ უნდა იზრუნოს.

უნდა აღვნიშნოთ დ. კაზიევისა და მ. ფილიას აღსაზრდელები — ქუთაისის „განთიადის“ წყალბურთელები. ისინი ქუთაისის განათლების განყოფილების ღია საცურაო აუზში ვარჯიშობენ. მწვრთნელები ვარჯიშის პირობებით კმაყოფილნი არიან და კარგი შედეგებიც აქვთ — გუნდმა 6 ქულით III ადგილი დაიკავა. ეს მიღწევა მით უფრო საპატიოა, რომ მათი კოლექტივი ყველაზე ახალგაზრდული იყო — წყალბურთელთა უმრავლესობა 1964 წელსაა დაბადებული, მაგრამ უფროსებთან ისე იბრძოდნენ, როგორც სწორი — სწორთან. კარგი თამაშისთვის რესპუბლიკის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებში მათი მეკარე ჟორჟოლიანი და „მინდვრის“ მოთამაშეები ფიროსმანიშვილი და დვალიშვილი შეიყვანეს.

ასპარეზობაში IV იყო მწვრთნელ ზ. ქართველიშვილის აღსაზრდელთა გუნდი — საქართველოს განათლების სამინისტროს კოლექტივი. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი ფაქტიურად თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელთა მეორე ნაკრებია და, ამდენად, მის მიერ მოპოვებული 4 ქულა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ბათუმის „განთიადის“ (მწვრთნელები ვ. მამჩინი და ს. კაკურია) მისამართით, რომელმაც ორად-ორი ქულა მოაგროვა და V ადგილი დაიკავა. მათ აშკარად მეტი მოეთხოვებათ, რადგან ბათუმელებს კარგი აუზი აქვთ გათბობით.

განსაკუთრებულ საყვედურს იმსახურებს თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდი. მან ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვა და სატურნირო ცხრილში უკანასკნელი ადგილი დაიკავა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ კოლექტივს ერთ დროს კარგი ტრადიციები ჰქონდა. ახლა მისი მუშაობა არაგვგმიურად მიმდინარეობს, რადგან გუნდი ხშირად უწყლოდ რჩება. მაგალითად, შარშან სექტემბერ-ოქტომბერში და ნაწილობრივ ნოემბერში „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი არ მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ გუნდს უკვე ერთი წელია, რაც მწვრთნელი ბ. მარგიევი ჩამოდგა სათავეში. იმედია, „ლოკომოტივი“ საცურაო აუზში მას მუშაობის კარგ პირობებს შეუქმნის და ისიც შეიცდება გუნდის ძველი ტრადიციების აღდგენას.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების რატომღაც თავი აარიდეს ბათუმის „ვოდნიკისა“ და სოხუმის „დინამოს“ გუნდებმა.

და კიდევ ერთი — თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელთა კოლექტივი, როგორც ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში.

ა. რაჰველიშვილი.

* * *

ხურათებზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი—თბილისის განათლების სამმართველოს კოლექტივი და მისი მწვრთნელი ს. მაისურაძე; შეჯიბრების მომენტი — ასპარეზობენ თბილისის „დინამოსა“ და განათლების სამმართველოს გუნდები.

ავტორის ფოტოები.

● **ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ: ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲐ!**

ᲓᲦᲔᲡ—ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ, ᲮᲕᲐᲚ—ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში მიმდინარეობს ზამთრის სესიები. ყველასათვის ნაცნობი სურათია: სტუდენტები აუდიტორიებთან შეკრებილან, ჩაჰკირკიტებენ კონსპექტებს, კიდევ ერთხელ იმეორებენ საკითხებს, ერთმანეთს უყვებიან განვლილ მასალას...

სპორტის მასობრივი სახეობების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებისთვის მიმდინარე გამოცდები განსაკუთრებულია, თუნდაც იმიტომ, რომ მალე ისინი მშობლიურ ინსტიტუტს დაემშვიდობებიან. მერე აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მომავალ სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებას მოახმარენ.

იმ დღეს მეოთხეკურსელებს გამოცდა ჰქონდათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვასა და ორგანიზაციაში. პირველად გამოცდაზე ლია კილასონია გავიდა. ყველა საკითხზე ამომწურავად უპასუხა. გამომცდელი თინა მჭედლიშვილი კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნით. მეგობრებმაც მიულოცეს ლიას. ლ. კილასონია ტანმოვარჯიშეა, სპორტის ოსტატი.

—მიხარია, რომ ბოლო საგანიც ფრიადზე ჩავაბარე, — ამბობს ლია,—ჩემთან ერთად უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს ჩემმა მეგობრებმა ლეილა ჯაგაევამ, მარინე ღელუტაშვილმა და სხვებმა.

დავუმატებთ, რომ ლიას გადაწყვეტილი აქვს მწვრთნელად იმუშაოს, ინსტიტუტში მიღებული ცოდნა სურს გაუზიაროს მომავალ თაობას და კარგი სპორტსმენები აღზარდოს...

სტუდენტი სპორტსმენები თანდათან ძლევენ მღელვარებას. რიგ-რიგობით შედიან გამოცდაზე. თითქმის ყველამ მაღალი მომზადება გამოავლინა. აი, აუდიტორიიდან გამოდის სპორტის ოსტატი ცურვაში ლალი იმნაძე. იგი კურსზე ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო, ყურადღებით ისმენდა ლექციებს და მუდამ ბეჯითად პასუხობდა სემინარებზე. ამიტომ არავის გაჰკვირებია, ყველა საკითხზე რომ უპასუხა და „ფრიადიც“ მიიღო. ლალისაც მწვრთნელად მუშაობა სურს თავის საყვარელ სახეობაში — ცურვაში.

გვერდით აუდიტორიაში გამოცდას მეორეკურსელები აბარებენ. აი, ერთი მათგანი —არჩილ ქოროღლიშვილი. იგი ზამთრის სესიებზე ორ გამოცდას აბარებდა: მძლეოსნობასა და ბიოქიმიაში. პირველ საგანში „ფრიადი“ მიიღო, მეორეში — „კარგი“.

კითხვაზე თუ როგორ მიმდინარეობს ამ ფაკულტეტზე ზამთრის სესიები, — ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი ვალერი ვამაკიძე გვეუბნება, რომ სესიისათვის მზადებას ფაკულტეტზე ნოემბრიდან შეუდგნენ. ყველა აკადემიურ ჯგუფში — ფაკულტეტის, ინსტიტუტის, პარტბიუროს სხდომებზე განიხილეს სესიისათვის მზადების საკითხები. საგნების უკეთ მომზადებისა და ჩაბარებისათვის მორიგე მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებსა და კონსულტაციებს ატარებდნენ.

გამოცდები დასასრულს უახლოვდება, სტუდენტთა უმრავლესობამ უკვე დაამთავრა სესია და ახლა სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობს. სპორტის მასობრივი სახეობების ფაკულტეტზე 29 ფრიადოსანი იყო. სესიის დამთავრების შემდეგ მათი რიცხვი, ჩანს, კიდევ უფრო გაიზრდება.

და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ამავე ფაკულტეტზე ზამთრის სესია წარმატებით ჩაბარეს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და ევროპის ჩემპიონმა წყალში ხტომაში ლიანა ცოტაძემ, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა, ხელბურთელებმა ირინე ნარსიამ, ლეილა რეიდამ, ნინო ქინქლაძემ და სხვებმა.

თ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

* * *

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზამთრის სესია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. პროფესორი გ. თვალაძე და დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი ა. მეიფარიანი გამოცდას იბარებენ ადამიანის ანატომიაში.

ა. მარუტოვის ფოტო.

ᲙᲐᲢᲘᲛᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲙᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ

ქ. როუეის (ნიუ-ჯერსის შტატი) საპატიმროში საინტერესო მატჩი გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ჯეიმს სკოტი, რომელსაც 40 წელი აქვს მისჯილი ბანკზე შეიარაღებული თავდასხმისათვის, შეხვდა ჯერი სელესტაინს—ნიუ-ორლეანის შერიფის თანაშემწეს. მეათე რაუნდში პატიმარმა ნოკაუტში გაისტუმრა მეტოქე. სელესტაინმა განაცხადა, რომ შეეცდება გამარჯვებულს მატჩ-რევანში „თავის მინდორზე“ — პოლიციის განყოფილებაში გაუმართოს.

„ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲐᲒᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲗ“

აშშ-ის პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ლოს-ანჯელეს აცტეკსი“ დასავლეთ ევროპაში გასტროლებზე იმყოფებოდა. ამ დროს იგი ეწვია ჰოლანდიის ქალაქ სტენვიიკს, სადაც ადგილობრივი გუნდი დაამარცხა ანგარიშით 2:0.

საზეიმო მიღებისას ქალაქის მერმა მამართა სტუმრების მოთამაშეს, განთქმულ ჰოლანდიელ ვარსკვლავს იოჰან კრუიფს:

— მადლობელი ვართ, რომ თქვენ მონახეთ საშუალება და ეწვიეთ ჩვენს მიყრუებულ ქალაქს, გვიჩვენეთ თქვენი შესანიშნავი ოსტატობა. ამაღე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ გზა ჩვენამდე ლოს-ანჯელესს გავლით ჰოლანდიელი ქაცისათვის სულაც არ გახლავთ უმოკლესი...

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ

შოტლანდიის ქ. დანდიში ადგილობრივი უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გამოჰკითხა თანამოქალაქენი იმ მიზნით, რათა დაედგინა, ვის როგორ ესმის ბედნიერება.

გამოკითხულნი ყველაზე ხშირად ასე უპასუხებდნენ: „50 ათასი გირვანქა სტერლინგის მოგება ფეხბურთის ლატარიაში“. მეორე ჯგუფი უარყოფდა ასეთ უხეშ მატერიალიზმს და ასე უპასუხებდა: „გვინდა კლუბი „დანდი იუნაიტედი“ შოტლანდიის ჩემპიონად ვიხილოთ — ეს იქნება ჩვენი ბედნიერება“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲑᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲙᲚᲐᲢᲝᲜᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ დედაქალაქი ამ დღეებში ბილიარდის ტრადიციული შეჯიბრების მონაწილეებს — მოსკოვისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს მსპინძლობდა (ეს ამხანაგური ტურნირი 1949 წლიდან ტარდება).

შეხვედრა მთაწმინდის პლატოზე გაიმართა. გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ თბილისის სპორტკომიტეტის წარმომადგენლები, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი და უამრავი გულშემატკივარი.

ნონა გაფრინდაშვილმა ძლიერი დარტყმით დაშალა „პირამიდა“ და ესტაფეტა ტურნირის მონაწილეებს დაულოცა.

პირველ დღეს შეხვედრა მოსკოველთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით დამთავრდა — 4:2, მაგრამ ცენტრალური შეხვედრები მეორე დღეს ჩატარდა.

თბილისელმა ჯ. მესხმა დაამარცხა მოსკოვის წარმომადგენელი ს. ბეჟანიშვილი. თბილისის ჩემპიონმა ბილიარდში, ჭადრაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ო. ელიოზიშვილმა მოუგო ს. მეტასოვს. თბილისელი გ. კობოსნიძე დამარცხდა ა. პოტიკიანთან. შემდეგ ე. ტარნოვსკი უგებს თბილისელ ნ. ხომერიკს, ო. ელიოზიშვილმა სძლია ა. პოტიკიანს.

საბოლოოდ, გამარჯვება „პირამიდაში“ სტუმრებს დარჩათ და გარდამავალი პრიზიც მათ გადაეცათ. რაც შეეხება სხვა თამაშს— „8 ბურთულას“, აქ თბილისელებმა გაიმარჯვეს — 36:25.

მარტში თბილისელებს საპასუხო შეხვედრა ელით მოსკოვში.

ბ. ᲖᲣᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოსკოვის (ზევით) და თბილისის გუნდები.

ჯ. ლომაძის ფოტოები.

● **ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ**

ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲐ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ქალაქ ვენგენის მიდამოებში გაიმართა სამთომოთხილამურე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრებები. სპეციალური სლალომის 550-მეტრიან ტრასაზე ყველაზე მოხერხებულად დაეშვა ბ. კრიეაი (იუგოსლავია)—1.27,3, რომელმაც ორივე ცდა მოუგო თასის მრავალგზის მფლობელს ი. სტენმარკს (შვეცია). სტენმარკი მას 0,17 წამით ჩამორჩა.

რთულ ტრასაზე, რასაც კიდევ უფრო ამძიმებდა ხშირი, ძნელი მოსახვევები, ყინვიანი საფარველი, შესანიშნავად დაეშვა ვ. ანდრეევი (საბჭოთა კავშირი). მან პირველ ცდაში ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს (43,8 წამი) მიაღწია და საბოლოოდ V ადგილზე გავიდა — 1.28,12.

სწრაფდაშვების ტრასა 4290 მეტრს უდრიდა, სიმაღლეთა სხვაობა — 1028 მეტრს. ამ სახეობაში შესანიშნავად გამოვიდნენ კანადელები კ. რიდი (2.30,58) და ს. პოდბორსკი (2.30,66), რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს. მათ მხოლოდ შვეიცარიელმა პ. მიულერმა აჯობა.

ამ ეტაპის შემდეგ ლიდერობა დაკარგა ა. ვენცელმა (ლიხტენშტეინი), ვინაიდან იგი ვერც სწრაფდაშვებაში და ვერც სპეციალურ სლალომში ათეულში ვერ შევიდა. ამან ი. სტენმარკს საშუალება მისცა თასის საერთო ჩათვლაში დაწინაურებულიყო.

● **ᲪᲘᲒᲐᲝᲒᲐ**

ᲧᲘᲜᲕᲚᲘᲡ ᲦᲐᲠᲨᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ ბალდაორის ყინულის ღარში გაიმართა ევროპის 28-ე ჩემპიონატი ციგებით დაშვებაში. ეს შეჯიბრება ბევრისთვის მომავალი ოლიმპიადის წინ ძალების ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენდა.

თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, იტალიელებს და გდრ-ის სპორტსმენებს მეტოქეებზე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ.

ქალთა შორის ყველაზე მაღალი შედეგი მოიპოვა მ. ზოლმანმა (გდრ). ოთხი დაშვების ჯამში მან 2.33,21 დახარჯა და 0,5 წამი მოუგო იტალიელ მ. რაინერს, ბრინჯაოც გდრ-ის სპორტსმენ ი. ბრანდს დარჩა— 2.34,4. ა. რიბენა (საბჭოთა კავშირი) მხოლოდ მეოთხე იყო. მან თავიდან უხეიროდ დაიწყო და პირველი დაშვების შემდეგ IX მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ მერე თანდათან გამოასწორა მდგომარეობა.

ვაჟთა შორის ერთადგილიანებით ასპარეზობაში ოთხი პირველი ადგილი მასპინძლებს ერგოთ: კ. ბრუმერის შედეგია 3.00,79, ჰ. ჰილდგარტნერისა — 3.01,65, ე. ჰაპსინგერისა — 3.02,05.

ორადგილიანებით დაშვებაში ჩემპიონი გახდა ჰ. რინისა და ნ. ჰანის (გდრ) დუეტი — 1.17,10 (ორი დაშვების ჯამში). ვერცხლი ერგოთ მათ თანაგუნდელებს ბ. და უ. ჰანებს — 1.17,81, ბრინჯაო — დასავლეთგერმანელებს— ჰ. ბრანდნერსა და ბ. შვარმს — 1.18,23. საბჭოთა ეკიპაჟებიდან სუკეთესო იყო ვ. შუგუროვ—ვ. ტერეშჩენკოს დუეტი — 1.19,56 (IX ადგილი).

● **ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲠᲘᲐᲚᲘ**

ᲡᲐᲛᲘ „ᲝᲭᲠᲝ“

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲡ ქალაქ მექეში დამთავრებულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველობდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველთა მოცეკვავე წყვილმა ე. ბატანოვამ და ა. სოლოვიოვმა. საბჭოთა ფიგურისტების ანგარიშზეა 3 ოქროს (4-დან) და ორი ბრინჯაოს მედალი.

● **ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲰᲝᲙᲔᲘ**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი ჰოლანდიის ნაკრები — 3:2. ამ გუნდებმა სამი ამხანაგური შეხვედრა გამართეს. პირველ ორში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1, 2:0.



რედაქტორი Ა. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ. „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლე. **საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების იუნიორთა ზამთრის პირველობა.** დასაწყისი: 23 იანვარს — 15 ს., 24 იანვარს—15 ს. 30 წ., 25 იანვარს — 11 ს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲘᲡᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
УЭ 02045